



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 28/ს
20/01/2023

28-21-4-202301201636



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში შპს „პეტროლჰაბის“ 9 000 მ³
მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „პეტროლჰაბის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 405525052) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში 9000 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება, ასევე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ, განცხადება გამოქვეყნდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილზე. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა შესაბამის გაზეთში. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ჯეოკონის“ მიერ.

2022 წლის 29 ივნისს, შპს „პეტროლჰაბის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში 9000 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სააგენტოს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N 252/ს; 10/08/2022, სკოპინგის დასკვნა №49).

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ 9000 მ³ მოცულობის მიწისზედა ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაკლიაში მდებარე შპს „პეტროლჰაბის“ საკუთრებაში არსებულ 32700 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 81.06.00.089). ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მოედნის ფართობია - 21000 მ², ხოლო საპროექტო შენობა-ნაგებობების განაშენიანების

ფართი შეადგენს 8550 მ². საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 560 მეტრს, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. მტკვარი დაშორებულია 970 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 760 მეტრში გადის თბილისი (ველი)-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზა (შ-32), ხოლო დასავლეთის მხრიდან დაახლოებით 90 მეტრში გადის სარკინიგზო ხაზი.

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება როგორც სასოფლო-სამეურნეო ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. 500 მეტრიანი რადიუსის ზოლში განთავსებულია სხვადასხვა პროფილის როგორც მოქმედი ისე უმოქმედო საწარმო ობიექტები. მათ შორის, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 130 მეტრში მდებარეობს შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მეტალურგიული საწარმო. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთის მხრიდან დაახლოებით 450-550 მეტრში მდებარეობს შპს "სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიის" საკუთრებაში არსებული ასფალტის ქარხანა და ასევე სხვადასხვა კომპანიების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობებით.

ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიამდე მისასვლელი და შიდა გზების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად გადაადგილებისთვის ახალი გზების გაყვანა გათვალისწინებული არ არის.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი. მათ შორის განხილულია არაქმედების, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების, ტექნოლოგიური და მწარმოებლურობის შემცირება/გადიდების ალტერნატივები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა მიუღებელია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ორი ალტერნატიული ვარიანტის (გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაკლიაში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.06.00.089); ე. თბილისი, ფონიჭალის დასახლება, შპს „თბილქალაქხეტყეს“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.13.039.001)) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მათ შორის უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ნავთობპროდუქტების საცავის საერთო მოცულობა იქნება 9000 მ³. სარეზერვუარო პარკში საწვავის მიღება-შენახვა-გაცემისთვის დაგეგმილია ათი (10) ერთეული მიწისზედა, ლითონის ვერტიკალური რეზერვუარის განთავსება, რომელთაგან ხუთი ერთეული (N1, N3, N5, N7 რეზერვუარები - 1000 მ³ და N 9 - 500 მ³ მოცულობის) განკუთვნილი იქნება ბენზინის საწვავისათვის, ხოლო ხუთი ერთეული (N2, N4, N6, N8 რეზერვუარები - 1000 მ³ და N10 - 500 მ³ მოცულობის) დიზელის საწვავისათვის. ნავთობპროდუქტების საცავის წლიური ტვირთბრუნვა იქნება 90 000 მ³ (90 000 000 ლიტრი). მათ შორის, 45 მილიონი ლიტრი ბენზინი და 45 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავი. წელიწადში ობიექტი იმუშავებს 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათიანი გრაფიკით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობა მოიცავს: ვაგონცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიმღები სისტემის, ტექნოლოგიური მილგაყვანილობისა და ვაგონცისტერნიდან ქვედა დაცლის სისტემით

ნავთობპროდუქტების მიმღები მოწყობილობის, რკინიგზის ჩიხის, ნავთობპროდუქტების მიმღები და გასაცემი სატუმბო სადგურების, სარეზერვუარო პარკის, ნავთობპროდუქტების ავტოგასამართი კუნძულის, ნავთობდამჭერის, ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოების და სხვა ტექნიკური ობიექტების მშენებლობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარეზერვუარო პარკი იქნება მიწისზედა განლაგების. თითოეულ რეზერვუარზე გათვალისწინებულია: სასუნთქი არმატურა, სანათური, საძვრენი ხვრელი, მეხამრიდები, დამიწების საშუალებები და სხვადასხვა ხელსაწყოები. რეზერვუარების დაცვის მიზნით, წნევის არანორმირებული მომატებისას, გამოყენებული იქნება ზამბარიანი სარქველები და ჩამკეტ-დამცავი მოწყობილობები. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების აორთქლების შემცირების მიზნით აირდამჭერი და რეკუპერაციის სისტემის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები.

ატმოსფერული ნალექების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა დაღვრილი სითხეების ლოკალიზაციის მიზნით სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია თიხის შემოზვინვის (სიგანე - 50 სმ; სიმაღლე-120 სმ; ფუძე - 400 სმ) მოწყობა. პროექტის მიხედვით, შემოზვინული ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 3040 მ²-ს. ამასთან, რეზერვუარების პარკის მთელი ტერიტორია, შემოზვინვის შიგნით დაიფარება 30 სმ სისქის თიხის ფენით, რკინაბეტონის ღარებისაკენ თანაბარი დახრით. რკინაბეტონის ღარები ეწყობა ნალექების შეკრების და რეზერვუარების პარკის გარეთ გაყვანის მიზნით. რკინაბეტონის ღარები შეერთებულია ერთმანეთთან 200 მმ დიამეტრის კერამიკული ან პლასტმასის მილით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობის ბაზის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების მიღება მოხდება რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებით, რის გამოც დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების დამცლელი რკინიგზის ჩიხის სიგრძე შეადგენს 96 მეტრს. ერთდროულად შესაძლებელი იქნება 8 ერთეული 60 ტ. ტევადობის ვაგონ-ცისტერნის მიღება და დაცლა. რკინიგზის ჩიხი გათვალისწინებულია ცალმხრივი დაცლისათვის, ვაგონცისტერნების დასაცლელად გამოყენებული იქნება ქვედა დამცლელი მოწყობილობა. რკინიგზის ჩიხს ექნება მიმღები კოლექტორის ორი ხაზი - ბენზინისა და დიზელის საწვავისთვის ვაგონცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების ჩასხმა რეზერვუარებში, ხოლო რეზერვუარიდან ავტოცისტერნებში გაცემა იწარმოებს სატუმბო სადგურების (ტუმბოების) საშუალებით.

მიმღებ გასაცემ სატუმბო სადგურში მონტაჟდება სულ 6 ტუმბო, მათ შორის მიმღებ სატუმბო სადგურში დამონტაჟდება 2 ტუმბო წარმადობით 150 მ³/სთ. მათ შორის 1- ბენზინის მისაღებად და 1- დიზელის საწვავის მისაღებად, ხოლო გასაცემ სატუმბო სადგურში დამონტაჟდება 4 ტუმბო ნავთობპროდუქტების გაცემისათვის, თითოეული წარმადობით 50 მ³/სთ - 2- ბენზინის გასაცემად და 2- დიზელის საწვავის გასაცემად. ავტოცისტერნებში საწვავის გაცემის მოედანი იქნება გადახურული. ესტაკადაზე ავტოცისტერნებში ზედა ჩასხმის პუნქტები მოწყობილია დიზელისათვის კუნძულის ერთ

მხარეს, ბენზინისათვის მეორე მხარეს, სისტემა იძლევა ჩასხმის პროცესის დისტანციური მართვისა და მისი ავტომატური გამორთვის საშუალებას.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე უსაფრთხოებას. ამასთან, ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობა გათვალისწინებულია ქაფგენერატორების საშუალებით. ქაფის ხსნარის დასამზადებლად საჭირო წყალი მიიღება სახანძრო რეზერვუარებიდან, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ლითონის რეზერვუარი მოცულობით 500 მ³. სახანძრო რეზერვუარებში საჭირო წყლის მარაგის (500 ტ.) შევსება მოხდება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სამელიორაციო სისტემიდან. სახანძრო სატუმბო სადგურში განლაგებულია ორი ტუმბო წარმადობით 150 მ³/სთ, ერთი ტუმბოთი მოხდება ქაფწარმოქმნელის გადატუმბვა ქაფსადენის მილში და აგრეთვე წყლის გადატუმბვა, მეორე ტუმბო სათადარიგოა.

ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო (რეზერვუარების რეცხვისათვის, ტექნოლოგიური მოედნების მოსარეცხად, საწარმოო უბნების დასუფთავების და მწვანე ნარგავების მორწყვისათვის) და როგორც აღინიშნა სახანძრო დანიშნულებით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს წყალსადენის ქსელის არარსებობის გამო, სამელიორაციო სისტემის სარწყავი არხიდან მოხდება წყლის აღება საწარმოო, სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით (სულ 1295,75 მ³/წელ.). ხოლო სასმელი წყალი ტერიტორიაზე შეიტანება სპეციალური ჭურჭლით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შპს “საქართველოს მელიორაციასთან” სამელიორაციო სისტემიდან საწარმოო მიზნებისათვის წყლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო (რეზერვუარებისა და ტექნოლოგიური მოედნების ნარეცხი წყლები) და სანიაღვრე წყლები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის ქსელი არ არსებობს, ამიტომ სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის გათვალისწინებულია ბიოტუალეტები ან ჰერმეტიული საასენიზაციო რეზერვუარის მოწყობა, რომლის განტვირთვა მოხდება სპეც. ავტომანქანებით, რომელიც შემდგომ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება ქ. გარდაბნის არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ნავთობპროდუქტების საცავის მთელ ტერიტორიაზე იკრიბება სპეციალურ მილსადენებში და რკინაბეტონის ღარებში, სარეზერვუარო პარკიდან გამოსვლის წინ დაბინძურებული წყლები გროვდება შემოზვინვასთან ახლოს მდებარე სპეციალურ ჭაში, რომელშიც მოწყობილია ჩამკეტი მოწყობილობა, შემდგომ დაბინძურებული წყლები ჩაედინება ჯერ სალექარში, სადაც ხდება მათი გაწმენდა თიხისა და ქვიშის ნაწილაკებისაგან, ხოლო შემდეგ გადადის გამწმენდ ნაგებობაში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყლების გაწმენდისთვის გათვალისწინებულია უკრაინული წარმოების FSN-6 მარკის ფილტრ-სეპარატორი, რომლის წარმადობაა 6 ლ/წმ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გაწმენდის შემდეგ მიღებული კონცენტრაციებია: შეწონილი ნაწილაკებისათვის - 2,8 მგ/ლ, ხოლო ნავთობპროდუქტებისათვის - 0,28 მგ/ლ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს საკანალიზაციის ქსელის არარსებობის გამო, გაწმენდის შემდეგ სუფთა წყალი ჩაედინება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებულ რეზერვუარ-ტბორში, რომლის მოცულობა იქნება 250 მ³, პარამეტრებით: 10 მ. სიგრძე, 10 მ. სიგანე, 2,5 მ. სიღრმე. დაგროვილი სითხის გატანა დაგეგმილია პერიოდულად (თვეში ერთხელ) სპეც.

ავტომანქანებით ქ. გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის არსებულ კოლექტორში, შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ობიექტისთვის შერჩეული ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს. სამშენებლო მოედნის მომზადებისას და დაგეგმილი რეზერვუარების და სხვა ნაგებობების მშენებლობისათვის საჭირო მიწის სამუშაოების დროს ამოღებული ექსკავირებული გრუნტი ჰუმუსოვანი ფენის არარსებობის გამო გამოყენებული იქნება თხრილების ამოსავსებად და ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის.

ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, ნიადაგის/გრუნტის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს ტექნიკის ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიულმა დაღვრამ/გაჟონვამ და ნარჩენების არასწორმა მართვამ. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია ობიექტის მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: გოგირდწყალბადი, ნაჯერი ნახშირწყალბადები, ამილენი, ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, როგორც უახლოეს მოსახლესთან (560 მ), ასევე ნავთობპროდუქტების საცავიდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს. შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საქმიანობის განხორციელების პროცესში, ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მოხდება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვება და შესაბამის კონტეინერებში განთავსება. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას შემდგომი მართვის მიზნით განხორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები განთავსდება სპეციალურ კონტეინერებში და გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ბენზინისა და დიზელის საწვავის შესანახი რეზერვუარების გაწმენდის დროს წარმოქმნილი ნავთობის შემცველი ნარჩენების, სანიაღვრე წყლების გამწმენდ ნაგებობაში (ფილტრ-სეპერატორში) და სალექარში დაგროვილი ნარჩენების ადგილზე განთავსება არ ხდება, აღნიშნული ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა, საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, რელიეფი, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგები, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმური პირობები. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნულია რომ პროექტის განხორციელების პერიოდში მათი ჭრის აუცილებლობა არ არის. მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია ფაუნის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობის სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. დაშორების დიდი მანძილიდან გამომდინარე დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებები (2 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა, 1 ექსკავატორი, 1ამწე, 1 სადემონტაჟო ვიბრო ჩაქუჩი, 1 ბულდოზერი), გზმ-ის ანგარიშში, აღნიშნულია რომ ჩატარებული გაანგარიშებების თანახმად, მშენებლობისას მოქმედი დანადგარ-მექანიზმების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური დონე ტერიტორიაზე შეადგენს 95.8 დეციბელს, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი ტერიტორიის საზღვარზე აღნიშნული მაჩვენებელი შეიცვლება 39.58 დბა-მდე. ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პერიოდში, ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ნავთობის ბაზის ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიური პროცესების შესრულება, რის შედეგადაც, ხმაურის დონე ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე იქნება 95.78 დბა, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ ზონასთან 39.56 დბა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის გავრცელების შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, სამშენებლო სამუშაოების (ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) მხოლოდ დღის საათებში წარმოება. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ხმაურის მონიტორინგი განხორციელდება კვარტალში ერთხელ, ნავთობპროდუქტების საცავის სრული დატვირთვის დროს, წინასწარ შერჩეულ 5 საკონტროლო წერტილში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა და ხმაურის გავრცელება. საწარმოს შემოგარენში არსებული ხმაურის გამომწვევი საწარმოები პროფილის, საპროექტო საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის ფონური მდგომარეობისა და დასახლებული პუნქტის დაშორების მანძილის გათვალისწინებით მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე საცხოვრებელი ზონის საზღვართან ხმაურის დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. ატმოსფერულ ჰაერზე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია იმ საწარმოებიდან, რომლებიც მდებარეობენ საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში. ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევისა ანგარიშისა და ფონური მახასიათებლების გათვალისწინებით დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები საცხოვრებელი ზონასთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე საცხოვრებელი ზონის საზღვარზე აკუსტიკური ფონის ზრდა მოსალოდნელი არ არის და ხმაურის ფონური დონეები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საწარმოს მშენებლობის პერიოდში სამშენებლო მასალები ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე შეტანილი იქნება საავტომობილო ტრანსპორტით (დაახლოებით 1 წელი), სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელია დროებითი ნეგატიური ზემოქმედება. ექსპლუატაციის პერიოდში პროდუქციის ტრანსპორტირება ავტოცისტერნების საშუალებით მოხდება მხოლოდ დღის საათებში. გზშ-ის ანგარიშში განხილულია სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების ხარისხი და აღნიშნულია რომ საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი დატვირთვა მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 2 დეკემბერს, 15:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიას საჯარო სკოლის შენობაში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებელი - შპს „პეტროლჰაბის“ და მერის წარმომადგენლები სოფ. აღთაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა.

როგორც საჯარო განხილვის ფარგლებში, ასევე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიის ტერიტორიაზე შპს „პეტროლჰაბის“ 9 000 მ³ მოცულობის (მიწისზედა) ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **შპს „პეტროლჰაბმა“** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, მათ შორის ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში,

შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

4. შპს „პეტროლჰაბმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „პეტროლჰაბმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება უახლოეს დასახლებულ პუნქტთან კვარტალში ერთხელ და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
6. შპს „პეტროლჰაბმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. შპს „პეტროლჰაბმა“ ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობების, მათ შორის რეზერვუარებზე დამონტაჟებული ზამბარიანი სარქველების და ჩამკეტ-დამცავი მოწყობილობების გამართულობისა და ეფექტურობის მუდმივი კონტროლი;
8. შპს „პეტროლჰაბმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს რეზერვუარ-ტბორში დაგროვილი საწარმოო-სანიაღვრე წყლების მართვასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულების სააგენტოში წარმოდგენა;
9. შპს „პეტროლჰაბმა“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობის და ჩამდინარე წყლების ხარისხის კონტროლი;
10. შპს „პეტროლჰაბმა“ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
11. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
12. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პეტროლჰაბს“;
13. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პეტროლჰაბის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო